საქართველოში მყოფი სხვაეროვანი მიუსაფარი მოზარდების მედეგობის სტრატეგიები

ავტორი: მელანო მახარაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ჯანა (დარეჯან) ჯავახიშვილი

თანახელმძღვანელი: პროფესორი შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მელანო მახარაძე

15.06.2023

აბსტრაქტი

საქართველოსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკითხი ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისა, რომელებსაც უწევთ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან გამკლავება. ხშირად რჩებიან განათლების, ასაკის შესაბამისი, განმავითარებელი და სამედიცინო სერვისებს მიღმა, რაც მათ მეტად მოწყვლადს ხდის. მიუხედავად სირთულეებისა, ისინი ახერხებენ ადაპტაციას და გამოწვევებთან გამკლავებას. მაგრამ ის, თუ როგორ ახერხებენ ისინი ცხოვრებისეულ გამოცდილებებთან გამკლავებასა და რა მედეგობის სტრატეგიებს იყენებენ - არ არის ცნობილი, რაც ღიობების გამოვლენისა და მათი საჭიროებების შესაბამისი ფსიქოსოციალური სერვისებით უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფორმაციის დეფიციტს განაპირობებს.

წინამდებარე კვლევის მიზანია, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მედეგობის სტრატეგიების კვლევა. ასევე, ქმმ ბავშვების ქუჩაში ყოფნის მოტივაციის, ქუჩასა და ოჯახში არსებული სტრესორების, საფრთხეების, ქუჩაში შეძენილი შესაძლებლობებისა და საფრთხესთან გამკლავების უნარების გამოვლენა. მიღებული შედეგები გაზრდის ფსიქოსოციალური სერვისებით უზრუნველყოფისთვის საჭირო ინფორმაციას. საინტერესო იქნება ქმმ ბავშვებით დაინტერესებული ან მათთან მომუშავე პირებისთვის.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მიდგომით. გამოყენებულია ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. მონაწილეები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილების მქონე თორმეტმა არასრულწლოვანმა, რომლებიც ცხოვრობენ ბათუმსა და ქუთაისში, 2 რესპონდენტი ინტერვიუს ჩატარების მომენტისთვი დროებით იმყოფებოდა მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

ქმმ არასრულწლოვნებისთვის მედეგობის სტრატეგიებად გამოიკვეთა: განრიდება საფრთხისგან, ურთიერთობა მეგობრებსა და ოჯახთან, იუმორის გრძნობა, კეთილგანწყობა საკუთარი თავის მიმართ, ზრუნვა, მომავლის იმედი, ფულის შოვნის, დახმარების ძიებისა და კომუნიკაციის უნარი.

საკვანძო სიტყვები: ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვი, მიუსაფარი ბავშვი, მედეგობა.

Abstract

There is one of the most important issue about children who live and work in the street in Georgia. They have to cope with complicated social-economic problems. They are often left without education and medical services. This is the main reason, why they are more hurtable. Despite dificulties, they manage to adapt and deal with challanges. But, how they manage to cope with life problems and what resilience strategies they use - is not explored, which is the main reason lack of information for providing psychosocial service.

The goal of the study is to explore resilience strategies of living and working children in the street. Moreover, the purpose is to study motivational reasons of being in the street, stressors in the street and family, threats, oportunities gained from the street and skills of coping with problems. The results of the study will increase the importance of information for providing psychosocial service. The research will be interesting for people , who work with these children and are interested in this topic.

The study is conducted with qualitative approaches. It is used method of depth interview. Participants are chosen with te principle of accessibility. They are twelve years-old children with experiences of l8ving and working in the street, living in Batumi and Kutaisi. Two of them were during the interview in a small family house.

Resilience strategies for these children are: avoiding from threat, relationship with friends and family, sense of humour, self-respect, take caring of themselves, hope of future, the skills of making money, searching for help and communication.

Keywords: Street Children, Street connected, Homeless, Resilience.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ჯანა ჯავახიშვილს, კვლევის იდეის ჩამოყალიბებაში, მეთოდოლოგიის განსაზღვრაში, ნაშრომის დახვეწაზე დახარჯული ძალისხმევის, საჭირო რესურსების გაზიარების, კვლევის სრულ პროცესზე ხელმძღვანელობისა და ხელმისაწვდომობისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი ნაშრომის თანახელმძღვანელს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, ლიტერატურის შერჩევაში დახმარებისთვის.

ჩემთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს, ჩემს ყველაზე დიდ გულშემატკივრებს - ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს, დაუღალავად თანადგომის, მხარდაჭერისა და მოტივაციის ამაღლებისთვის.

ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს: დღის მობილური ჯგუფის უფროს სოციალურ მუშაკს ირმა ლომიძესა და ღამის მობილური ჯგუფის უფროს სოციალურ მუშაკს, ნათია გასვიანს, კვლევის მონაწილეთა მოძიება/ჩართვაში დახმარებისა და რჩევებისთვის, რომელიც ნაშრომის კრიტიკულად ხედვაში მეხმარებოდა.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის: კვლევის თითოეულ რესპონდენტს, განსაკუთრებით მობილური გუნდის პროგრამის ბენეფიციარებს, თავიანთი დროის დათმობისთვის, საკუთარი გამოცდილებების ღიად გაზიარებისა და ენობრივი ბარიერის გამო შექმნილი დისკომფორტის, მიუხედავად, ინტერვიუს პროცესში, სრულად ჩართვისთვის.